



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 05.11.2019 წლის №113/19¹

გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ირაკლი ლაზარაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორს ჰქონდა სამოქალაქო დავა, რომელიც მის სასარგებლოდ გადაწყდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილების გამოცხადებას მოჰყვა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ სიტყვიერი შეურაცხყოფა და ცილის წამება, კერძოდ, ადვოკატმა მომჩივანს ადამიანის დაჭრა დააბრალა. ადვოკატის ცილისწამების გამო, მომჩივანმა მიიღო გულის შეტევა და აეწია წნევა. მანდატურებმა გამოიძახეს პოლიცია, ადვოკატი გადაიყვანეს საგამომებო უწყებაში, სადაც განაცხადა, რომ არ გააჩნია მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებს პროცესზე ნათქვამს. გარდა ამისა, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა თავისი კლიენტი და სასამართლო შეცდომაში შეიყვანა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ადვოკატმა კლიენტს ახალი საფუძვლით შეატანინა სარჩელი, შემდეგ კი საჩივრის ავტორის ოჯახური მდგომარეობით, კერძოდ იმით, რომ ოჯახური პირობების გამო ვერ მოახერხა სასამართლოში გამოცხადება, ისარგებლა ბოროტად და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. თავის მხრივ, ადვოკატმა საჩივრის ავტორის პოზიცია უარყო და აღნიშნა, რომ მომჩივანის მიმართ არასდროს აგრესია არ გამოუჩენია. ამასთან, სასამართლო პროცესზე ნამდვილად თქვა, რომ საჩივრის ავტორმა ადამიანი დაჭრა, თუმცა ეს ფაქტი მას არ გამოუგონებია და მან მხოლოდ კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია გააყდერა, ადვოკატმა ასევე უარყო საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და მანდატურების მიერ მისი საგამომებო უწყებაში გადაყვანა, რაზეც დამატებით მიუთითა, რომ გამომძებელმა პროცესიდან რამდენიმე დღეში დაიბარა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საერთოდ არ ფლობს არანაირ ინფორმაციას საჩივრის ავტორის ოჯახურ მდგომარეობაზე.

პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

სამართლებრივი შეფასება

შესაფასებელია, ადვოკატმა დააარღვია თუ ეთიკური ვალდებულება არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი. *ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 5.გ). ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (აპეკ -ის მუხლის 9.4). ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 6.1). ადვოკატს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.*

¹ <https://gba.ge/pdf/620e317a62468.pdf/113.19,%20ar%20agdzvra,%2015.11.19.pdf>

როდესაც ადვოკატმა აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორმა ადამიანი დაჭრა, მისი მხრიდან ამ განცხადების გაკეთება წარმოადგენს კლიენტის მხრიდან მიღებული ინფორმაციის გაჟღერებას, რასაც ადასტურებს მტკიცებულებად წარმოდგენილი სასამართლოს სხდომის ოქმი. შესაბამისად, ადვოკატის მიერ კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის გაჟღერება, ადვოკატის, როგორც კლიენტის ინტერესების დამცველის უფლებას წარმოადგენს და ეთიკურია, ვინაიდან ამ ინფორმაციის სასამართლოსათვის განდობა ემსახურებოდა იმ ერთ-ერთი ფაქტის განმტკიცებას, რომელსაც სარჩელი ეფუძნებოდა. მსგავსი შინაარსის შემცველი ტექსტის სასამართლოს სხდომაზე გაჟღერება მოიცავდა მხოლოდ სასამართლოს ინფორმირების მიზანს, რათა მესამე მხარეს ნათლად აღექვა არსებული სიტუაციის სირთულე და პრობლემატურობა. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა, კანონით აუკრძალავი, საშუალება. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადვოკატს ანიჭებს შესაძლებლობას ახალი სამართლებრივი საფუძველით მიმართოს სასამართლოს სარჩელით და დააყენოს შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ ადვოკატი არაეთიკურად იქცევა. ადვოკატი მოქმედებდა საქმიანობის ფარგლებში, იგი მომსახურებას უწევდა კლიენტს და მისი პროფესიული ვალდებულებაა შეარჩიოს კლიენტისთვის მისაღები და კანონმდებლობით დასაშვები საშუალებები მიმდინარე დავის ფარგლებში.

დასკვნა

ადვოკატის განცხადებები წარმოადგენს კლიენტის პოზიციის გაჟღერებას და შესაბამისად ვერ შეფასდება ცილისწამებად. აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადვოკატის ქმედებები არ სცდება კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ჩარჩოებს და სხვა არცერთი მტკიცებულება, ადვოკატის მხრიდან ეთიკური ვალდებულების დარღვევაზე არ მიანიშნებს. ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრისთვის, საკმარისად დასაბუთებული ვარაუდი არ არსებობს.